ფოთის წყალსათხილამურო ბაზა საუკეთესოა ევროპაშიც და მსოფლიოშიც. ამ სპორტულ კომპლექსს ბრწყინვალე მომავალი აქვს—აღნიშნეს სპეციალისტებმა

ევროპის ჩემპიონატი წყალსათხილამურო სპორტში, რომელსაც 14-18 აგვისტოს ჩვენი შავიზღვისპირა ქალაქი მასპინძლობდა, დამთავრდა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გამარჯვებულები და პრიზიორები:

სლალომი

ქალები: 1. ფილიპა რობერტსი (დიდი ბრიტანეთი), 2. ოლგა ბუზარენკო, 3. იულია ბრომიკო (ორივე — სსრკ).
ვაჟები: 1. ჯონ ბატლდეი (დიდი ბრიტანეთი). 2. მარკო ბეტონინი (შვეიცარია), 3. პიერ კარმინი (საფრანგეთი).

ფიგურული სრიალი

ქალები: 1. ოლგა პავლოვა, 2. ნატალია ივანოვა (ორივე სსრკ), 3. ფრედერიკა სავენი (საფრანგეთი)... 5. ნატალია სოროკინა (საქართველო, უკონკურსოდ).
ვაჟები: 1. ნიკოლ ლეფორესტიე (საფრანგეთი), 2. პატრიციო ბუზოტა (იტალია), 3. ოლეგ დევიატოვსკი (სსრკ).

ტრამპლინიდან ხტომა

ქალები: 1. ბრიტა ბრებე (ავსტრია), 2. ოლგა ბუზარენკო (სსრკ), 3. კლაუდია ბუზენბაუერი (ავსტრია)... 5. ხათუნა კორკელია (საქართველო, უკონკურსოდ).
ვაჟები: 1. ანდრეა ალესი (იტალია), 2. დანიელ დობრინგერი (ავსტრია), 3. კლოდ პერესი (საფრანგეთი)... 6. გენადი ბურალია (საქართველო, უკონკურსოდ).

მრავალჭიდი

ქალები: ოლგა პავლოვა, 2. ნატალია ივანოვა, 3. ფრედერიკა სავენი.
ვაჟები: 1. ანდრეა ალესი, 2. პატრიციო ბუზოტა, 3. ოლეგ დევიატოვსკი.

არაოფიციალური გუნდური ჩათვლა

1. სსრკ, 2. იტალია, 3. საფრანგეთი... 6. საქართველო (უკონკურსოდ).

ჩემპიონატის საბოლოო შედეგებზე დაწვრილებით „ლელოს" უახლოეს ნომრებში მოგითხრობთ.

„იეტი" იწყება სამი „თოვლის ჯიქით"

ალპინიზმი

სპორტს, კერძოდ კი ალპინიზმსაც დაატყო თავისი მადლი ასოციაცია ორიენტ-90-მა. მან შექმნა ახალი დამოუკიდებელი მთამსვლური კლუბი „იეტი" და მატერიალურად უზრუნველყო. კლუბში გაერთიანდა საქართველოს ნაკრების დიდი ნაწილი. „იეტის" წევრთა შორის თბილისელებთან ერთად არიან ქუთაისის, მესტიისა და რუსთავის უძლიერესი ალპინისტები.

„იეტის" წევრებმა ამ ზაფხულს მოაწყვეს მნიშვნელოვანი ასვლები, რაც კლუბის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე მეტყველებს. პირველივე ექსპედიცია ჭიუხებზე საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. იეტელებმა აქ 6 მწვერვალი აიღეს, რომელთაგან 2 მეხუთე „ა" და „ბ" კატეგორიის სიძნელისაა: ბენო ქამაკაშვილი, დათო იოსელიანი, ზურაბ კუჭავა, ვახტანგ სვანიძე იყვნენ ჯავახიშვილზე (5-ა), ხოლო გელა ოთარაშვილმა, გია თორთლაძემ, დათო იოსელიანმა, ზურაბ კუჭავამ, ვახტანგ სვანიძემ და დათო ჩანტლაძემ დალაშქრეს ლადო ასათიანი (5-ბ). ექსპედიციის წევრებმა დაიპყრეს აგრეთვე მწვერვალები: გურამ რჩეულიშვილი, შავთავა, ექვთიმე თაყაიშვილი. ივლისის პირველ რიცხვებში კი მოსიმაღლე მთამსვლელთა გუნდი ცენტრალურ პამირს ეწვია.

მთიანეთის ეს გიგანტური მასივი, მისი შვიდიათასიანი მწვერვალები, მთამსვლელებს განსაკუთრებულ გამოცდას უწყობს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იეტელებმა ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინეს ურთულესი ლაშქრობები და დაიპყრეს სამივე უმაღლესი მწვერვალი — ლენინის (7.134 მ), კორჟენევსკაიას (7.1050 მ) და კომუნიზმის (7.495 მ) პიკები, რაც უნიკალური შემთხვევა გახლავთ, რადგან ერთ სეზონში სამივე ეს მწვერვალი ჯერ არავის დაუპყრია.

განსაკუთრებით რთული გამოდგა კომუნიზმის პიკის აღება, რომელსაც ჯგუფმა (ხელმძღვანელი გ. თორთლაძე, გ. ოთარაშვილი, ა. გიგანი, ზ. კუჭავა) ჩრდილოეთიდან ბაროტკინის თხემით შეუტია, გაიარა დუშანბეს მწვერვალი (7.000 მ) და 6 დღის შემდეგ მიაღწია მიზანს, რასაც ამინდმაც დიდად შეუწყო ხელი. სამაგიეროდ, ლენინის პიკის დამპყრობთ (ხელმძღვანელი ა. გიგანი, ზ. კუჭავა, ი. კაპანაძე) მთელი გზა თოვლი და ქარბუქი სდევდათ და მაინც, საკმაოდ მოკლე ვადაში — 4 დღეში, აიღეს მწვერვალი. ამდენივე დღე დასჭირდათ ა. დოლიძეს (ხელმძღვანელი), ვ. სვანიძეს, თ. შარაშენიძეს, ი. კაპანაძესა და ჯ. აქიმიძეს მწვერვალ კორჟენევსკაიას ასაღებად. ამ ექსპედიციის შედეგად გია თორთლაძემ, გელა ოთარაშვილმა და ჯარჯი აქიმიძემ მოიპოვეს „თოვლის ჯიქის" საპატიო წოდება, რისთვისაც საჭიროა ოთხი შვიდიათასიანი მეტრი სიმაღლის დაპყრობა.

სურათზე: ცენტრალური პამირის მთიანეთი.

ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

20 აგვისტო, სამშაბათი, 1991 წ.
№ 156 (10 569) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის მესამე ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სამგურალი" (წყალტუბო) —
„მრეტები" (თბილისი) 0:4

„მერცხალი" (ოზურგეთი) —
„გორდა" (რუსთავი) 0:4

„მზიური" (გალი) —
„მარგვეთი" (ზესტაფონი) 2:1

„სულორი" (ვანი) —
„ბათუმი" (ბათუმი) 2:1

„სამტრედია" (სამტრედია) —
„კოლხეთი-1918" (ფოთი) 1:0

* * *

20 და 21 აგვისტოს გაიმართება მეორე ტურის სამი დანარჩენი შეხვედრა.

ინფორმაცია

● **შტუტგარტი.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში (4 კილომეტრზე) ოქროს მედალი ხვდა გერმანიის კვარტეტს — 4.07,003. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები საბჭოთა კავშირისა და ავსტრალიის ველოსიპედისტებმა გაინაწილეს. მოყვარულთა შორის ბოლო ოქროს მედლები მიიღეს ასევე გერმანელმა სპორტსმენებმა ეიკ პოკორნიმ და ემანუელ რაშმა. მათ კონკურენტი არ ჰყავდათ ტანდემებით ასპარეზობაში.

ადამიანი მატიანეს ფურცლებზე

ნესტორ მემატიანე... ქართული ფეხბურთისა

ნესტორ ჩხატარაშვილთან — ქართველ მსაჯთა პატრიარქთან, წარსულში ცნობილ ფეხბურთელთან და მწვრთნელთან ამ ფოტოსურათმა მიგვიყვანა. ომამდელი თბილისის „ლოკომოტივის“ 13-კაციან ჯგუფში ორნი ვერ ვიცანით...

— მირზოევი და აკოფოვია, — გაიხსენა ბატონმა ნესტორმა თანაგუნდელები, — ფოტო 1938 წელსაა გადაღებული თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, მაშინ „ბ“ კლასში ვთამაშობდით.

რკინიგზელთა გუნდის ძველმა კაპიტანმა, ცენტრალურმა ნახევარმცველმა ნესტორ ჩხატარაშვილმა ბევრი რამ საგულისხმო გვიამბო ქართული ფეხბურთის ისტორიიდან. 1935 წელს თბილისში შეიქმნა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ გუნდი, რომელიც მთლიანად ტსპო-ს მოთამაშეებით დაკომპლექტდა. საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო. უკვე მეორე წელს თბილისში გაიმართა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა, ქართველმა ფეხბურთელებმა მოუგეს კიეველებს — 2:0 და მოსკოველებს — 1:0. უნდა ითქვას, რომ მოსკოვის გუნდი, რომელსაც მოთამაშე მწვრთნელი ა. სტოლიაროვი ავარჯიშებდა, საკმაოდ ძლიერი ძალა იყო. აქ თამაშობდნენ ცნობილი ოსტატები, გრანატკინი, ლავროვი, ტერენკოვი, ჟუკოვი, სტრელკოვი, მაქსიმოვი, გვოზდკოვი, ანდრეევი — ისინი, რომლებმაც 1936 წლის თასის პირველი გათამაშების ფინალში სძლიეს თბილისის „დინამოს“ — 2:0. სხვათა შორის, „ლოკომოტივმა“ თბილისის პირველობის გადამწყვეტ მატჩში „დინამოს“ ახალაშენებულ სტადიონზე დამაჯერებლად (2:0) მოუგო მასპინძელთა აღიარებულ კოლექტივს, რომელშიც გამოდიოდნენ შავგულიძე, დოროხოვი. მ. ბერძენიშვილი... არავის გაჰკვირვებია. როდესაც თბილისელ რკინიგზელთა გუნდი ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით „ბ“ კლასში ჩარიცხეს, ხოლო თბილისის „დინამო“ კი — „ა“ კლასში. მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, გასაოცარი „როქი“ მოხდა — საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა ადგილები შეცვალა. და „ლოკომოტივი“ ქვემო ჯგუფში აღმოჩნდა. თბილისის „დინამომ“, როგორც ცნობილია, ქვეჯგუფში პირველობა მოიპოვა და საშემოდგომო ჩემპიონატში უკვე „ა“ კლასში თამაშობდა, „ლოკომოტივი“ კი მესამე ადგილზე გამოვიდა. აი, მისი შემადგენლობა: ნიკოლაი სოლონინი, სერგო შუდრა, ალექსანდრ ვორონოვი, სურენ აკოფოვი, შალვა რამიშვილი, მიხეილ ღვინიაშვილი, გაიოზ ჯეჯელავა, ვანჩუკ ჩერედნიჩენკო, შალვა ჩხატარაშვილი, გიორგი ახმეტელი, გიორგი აფრიდონიძე, ლური ლოლაძე, ვალოდია ჰანჰალეიშვილი, ვოვა აფანასიევი, ბიჭიკო კიკვაძე, მიხო ჰელიძე, სერგო სიხარულიძე და გუნდის კაპიტანი ნესტორ ჩხატარაშვილი. მომდევნო, 1937 წლის სეზონში, რკინიგზელთა გუნდს წაართვეს ჯეჯელავა, ლოლაძე და აფრიდონიძე, ნაცვლად მოვიდნენ ილია ლობჟანიძე, მიხაილ ბოლოტინი, ბორის ჩიტაია, მიხეილ ცენტერაძე და კიდევ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა. გუნდის მწვრთნელად ძველი ფეხბურთელი ნიკოლაი ლარიონოვი დაინიშნა, რომელმაც მოგვიანებით მსაჯობას მიჰყო ხელი.

1938 წელს საკავშირო გათამაშების „ა“ კლასში გუნდების სარეკორდო რაოდენობა გამოდიოდა (26), მათ შორის თბილისის „ლოკომოტივიც“. შეჯიბრება ერთ წრედ ტარდებოდა. ლოკომოტიველები 15 ქულით 24-ე ადგილზე გავიდნენ — 5 მოგება, 5 ფრე, 15 წაგება, ბურთების შეფარდება — 44:62. უარესი მაჩვენებლები მხოლოდ მოსკოვის ორ გუნდს ჰქონდა — „კრილია სოვეტოვს“ და „ბურევესტნიკს“. მომდევნო წელს ლოკომოტიველები „ბ“ ჯგუფში ასპარეზობდნენ და მეორე ადგილი დაიკავეს მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“ შემდეგ, რითაც უფლება მოიპოვეს ომისწინა სეზონში კვლავ „ა“ ჯგუფში გამოსულიყვნენ 14 საუკეთესო გუნდს შორის.

ნესტორ ჩხატარაშვილი:

— გადავწყვიტეთ გუნდი გაგვეძლიერებინა. ბაქოდან ჩამოვიყვანეთ მეტად ტექნიკური ვიქტორ პანიუკოვი, მაგრამ მალე იგი „დინამომ“ წაიყვანა. მას მიჰყვნენ ლური ლოლაძე, გივი იოსელიანი, ჯანსულ კიწნურეიშვილი, რამაც გუნდი, ცხადია, დაასუსტა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თბილისის „დინამო“, ეს ქართული ფეხბურთის მედროშე, როგორც მას უწოდებდნენ, არასოდეს ყოფილა ერთი კლუბის გუნდი — იგი, ფაქტობრივად, მუდამ საქართველოს ნაკრებს წარმოადგენდა, თუ ვინმე მოეწონებოდათ, მაშინვე „დინამოში“ უკრავდნენ თავს. ასე მოექცნენ ჩვენს „ლოკომოტივს“, ასეთი ბედი ეწია მოგვიანებით თბილისის „სპარტაკს“, ტოდო-ს, ქუთაისის „ტორპედოს“. არ მინდა ვინმე დავადანაშაულო ამაში — იქნებ ასეც იყო საჭირო — მე მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავ. ერთი სიტყვით, ძალიან გაგვიჭირდა. ტურნირი თავიდანვე სუსტად დავიწყეთ, ზედიზედ წავაგეთ რამდენიმე მატჩი, დავკარგეთ შეთამაშება, სტაბილურობა. აქვე ვიტყვი, ჩვენს გუნდს არც საკუთარი სავარჯიშო ბაზა ჰქონდა და არც მატერიალურად იყო ძლიერი.

ჩემპიონატის დამთავრებამდე 4 ტური რჩებოდა. თბილისის „ლოკომოტივს“ ოთხიდან სამი შეხვედრა შინ ჰქონდა ჩასატარებელი. ეტყობა, ჩვენმა „კეთილმოსურნეებმა“ იგრძნეს, რომ გუნდი სახლში საჭირო ქულებს აიღებდა და უძლიერესთა ჯგუფში დარჩებოდა, ამიტომ „ცენტრიდან“ (ლოკომოტიველთა „ცენტრი“ კი იმხანად ხარკოვში იყო) სასწრაფო დადგენილება მოვიდა. მასში ეწერა, რომ თბილისის „ლოკომოტივი“ მოხსნილი იყო საკავშირო გათამაშებიდან... „სახსრების უქონლობის გამო“. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. დავუმატებ იმასაც, რომ „ლოკომოტივი“ მაშინ ბოლოდან მესამე ადგილზე იმყოფებოდა, სამწუხაროდ, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ყურიც არ შეიბერტყა და ნიჭიერი გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა.

სხვათა შორის, ერთხელ მოსკოვში ვიღაცას აზრად მოუვიდა შეექმნა რკინიგზელთა ახალი გუნდები — „ლოკომოტივ იუგა“ და „ლოკომოტივ სევერა“. პირველ მათგანში ჩვენ და კიეველები შევდიოდით, მეორეში — მოსკოველები. ცხადია, ზემოთ დასახელებულ კოლექტივებს დიდი დღე არ ეწერა.

თხრობამ თბილისის „ლოკომოტივზე“ იმდენად გაგვიტაცა, რომ დაგვავიწყდა გვეამბნა ფეხბურთში ნესტორ ჩხატარაშვილის პირველი ნაბიჯების შესახებ.

...არსენალის რაიონში, გოგოლის ქუჩაზე ცხოვრობდა. იმხანად იქვე მილიუტინის ქუჩაზე, ეკლესიის გვერდით ფეხბურთის ერთი პატარა მოედანი იყო. აქ მთელი უბნის ახალგაზრდობა იკრიბებოდა, საუკეთესო გუნდიც ჰყავდათ — „არსრაიონი“, რომელიც თბილისის პირველობაზე ასპარეზობდა და რამდენჯერმე ჩემპიონობაც მოიპოვა. დიდ გუნდთან ნორჩების გუნდიც ჩამოაყალიბეს. მასში სხვებთან ერთად ძმები ჩხატარაშვილები შეიყვანეს — 14 წლის ნესტორი და 12 წლის შალვა. ახალბედებზე შეფობა კონსტანტინ სოლტანმა იკისრა, „კაშევარას“ რომ ეძახდნენ. სოლტანი მოგვიანებით კარგი მწვრთნელი და მსაჯი გახდა.,

— ჩხატარაანთ უფროსი ბიჭი (ოჯახში კიდევ ერთი შვილი იზრდებოდა — თამარი, შემდგომში ცნობილი სტომატოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) ცენტრჰავბეკად დააყენეს, უმცროსი კი — ცენტრფორვარდად. ბოლოს, მოგეხსენებათ, ისიც კარგი ფეხბურთელი დადგა — ტექნიკური, ძლიერი დარტყმით, გოლის ალღოთი გამორჩეული, თბილისისა და საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. გუნდის კაპიტნად ბიჭებმა ნესტორი აირჩიეს.

— ფეხბურთზე ყველანი საოცრად შეყვარებულები ვიყავით. პლეხანოვზე, კინოთეატრ „აპოლოსთან“ ერთ კარგ ოსტატს, სახელად დერონ მივაგენით — მშვენიერ ბურთებს და ბუცებს კერავდა. საზიაროდ შეგროვილი ფული რომ არ გვყოფნიდა, „მეტალისტის“ ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი მიხაილ იამშანოვი გვჩუქნიდა ხოლმე. ისე კი, გამოგიტყდებით, ბურთის შოვნის კიდევ ერთი ვარიანტი გვქონდა — კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე ძველ სტადიონზე უფროსების თამაშის დროს ბიჭები ჩასაფრებული ვიყავით ხოლმე და, როდესაც ბურთი ღობეზე გადმოვარდებოდა, სწრაფად ავიტაცებდით და მოვკურცხლავდით.

გადიოდა წლები. თბილისში ახალი გუნდი ჩამოყალიბდა, მეტად პროზაული სახელწოდებით „ტსპო“ (თბილისის სამომხმარებლო საზოგადოება). მას გამოცდილი მწვრთნელი და მსაჯი კონსტანტინ კრავჩენკო ავარჯიშებდა. 20 წლის ნესტორ ჩხატარაშვილი აქაც გუნდის კაპიტნად აირჩიეს. ეს იყო 1933 წელს. ორი სეზონის შემდეგ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მთელი გუნდი ახლად შექმნილ „ლოკომოტივში“ გადავიდა. ასე მოვიდა ნ. ჩხატარაშვილი დიდ ფეხბურთში.



არანაკლებ ცნობილია ბატონი ნესტორი როგორც მწვრთნელი და მსაჯი. ძველი გულშემატკივრები დღესაც იგონებენ თბილისის არმიელთა გუნდს ტოდო-ს, რომელსაც უფროსი მწვრთნელი ნესტორ ჩხატარაშვილი ავარჯიშებდა მწვრთნელ ილია ლობჟანიძესთან ერთად დაწყებული 1942 წლიდან. გუნდი შეიარაღებული ძალების ჩემპიონი იყო, „ბ“ კლასის კოლექტივებს შორის მეტწილად პრიზიორი ხდებოდა. „ტოდო“ მუდამ შემტევ ფეხბურთს მისდევდა, ამიტომაც იყო, რომ იგი ხშირად დიდი ანგარიშებით ამარცხებდა მეტოქეებს — გუნდში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გაიზარდა — ანატოლი ბაშაშკინი, ანატოლი ნორაკიძე, ბორის სიჭინავა, თენგიზ მელაშვილი, იური კურტანიძე, დოდიკ ხუნდაძე, ედუარდ დალაქიანი, გიორგი ავეტისოვი, პეტრე ტიტოვი, რაფაელ მათევოსიანი, მიშა და შოთა ჯოჯუები, თენგიზ კუბლაშვილი. შალვა ჭრელაშვილი.

არმიელებმა „ა“ კლასში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს — გაიმარჯვეს „ბ“ კლასის ზონალურ ტურნირში და ფინალური სამეულის გადამწყვეტ გათამაშებაში მიიღეს სანუკვარი საგზური. ქართველ ფეხბურთელთა მეტოქენი იყვნენ ლენინგრადის „ადმირალტეეცი“ და უჟგოროდის „სპარტაკი“, გადასავლელი თამაშები ტაშკენტში გაიმართა ორ წრედ. პირველი წრე თბილისელებმა მოიგეს — სძლიეს „ადმირალტეეცს“ (1:0) და ფრედ დაამთავრეს თამაში „სპარტაკთან“ (0:0). აი, სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის ცნობილი „კომბინაცია“ ცალ კარში. აშკარა იყო, რომ „ცენტრს“ ლენინგრადელების გადაყვანა უნდოდა, ამისათვის ყველაფერი იღონეს, მსაჯებიც (მოსკოველი არბიტრის ვიქტორ არხიპოვის „თამადობით“), რა თქმა უნდა, სათანადოდ „დამოძღვრეს“.

— მეორე წრის მატჩში „სპარტაკს“ შევხვდით, 0:1 ვაგებდით მიუხედავად ჩვენი დიდი სათამაშო უპირატესობისა. უამინდობა იყო, თოვდა კიდეც. მოედანი მოიყინა. რა გასაკვირია, რომ ჩვენმა მეკარემ ვასილი ივანოვმა მოულოდნელად იოლი ბურთი გაუშვა. ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ გოლის გასატანად, ბიჭები ნერვიულობდნენ, რაც მსაჯის არაობიექტურობით იყო გამოწვეული. ერთი სიტყვით, დავმარცხდით. თავის მხრივ, „ადმირალტეეცმა“ მოუგო „სპარტაკს“. აშკარა გახდა, რომ უმაღლეს ლიგაში ლენინგრადელთა მეორე გუნდს ვიხილავდით, რომ იტყვიან, ყურები ჩამოვყარეთ, აღარ გვიბრძოლია, ნევისპირელებთანაც წავაგეთ მინიმალური ანგარიშით — 0:1.

1959 წელს ნესტორ ჩხატარაშვილი თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს მწვრთნელად. ეს მოხდა გუნდის უფროსი მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას თხოვნით. მართლაც, კარგად შეეთვისნენ ერთმანეთს, შეთანხმებულად მუშაობდნენ. თუმცა. რა დასამალია, ჩხატარაშვილისთვის ეს არ იყო იოლი საქმე. გუნდი საპრიზო, მესამე ადგილზე გავიდა, მაშინ, როდესაც წინა სეზონში აშკარად წარუმატებლად გამოვიდა მოსკოველი მწვრთნელის ვასილი სოკოლოვის ხელმძღვანელობით.

სამი წელიწადი იმუშავა ნესტორ ჩხატარაშვილმა საქართველოს უპირველეს გუნდში. 1961 წელს იგი სათავეში ჩაუდგა ბათუმის „დინამოს“, რომელიც მაშინ „ბ“ კლასში თამაშობდა. მომდევნო სეზონში ნ. ჩხატარაშვილი და მისი ძველი პარტნიორი ილია ლობჟანიძე „ა“ კლასში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედოს“ ავარჯიშებდნენ. იქიდან კვლავ ბათუმში დაბრუნდა — ვახტანგ რამიშვილთან ერთად შეუდგა ადგილობრივ „დინამოსთან“ მუშაობას. მერე ნ. ჩხატარაშვილი ავარჯიშებდა „ბ“ კლასის სხვა გუნდებს — გურჯაანის „ალაზანს“, რუსთავის „მეტალურგს“, გორის „დილას“. შემდეგ საქართველოს სპორტკომიტეტში გადავიდა ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების მთავარ მწვრთნელად, 1971-1972 წლებში თბილისის „დინამოს“ სათავეში კვლავ გავრილ კაჩალინი ედგა. სწორედ ამ ცნობილი სპეციალისტის თხოვნით გუნდის უფროსად დაინიშნა ნესტორ ჩხატარაშვილი. იმ სეზონში დინამოელები ისევ კარგად თამაშობდნენ, თუმცა „ტაშკენტის ვარიანტი“ ვერ გაიმეორეს.

ფეხბურთის მოყვარულთა შედარებით ახალგაზრდა თაობა ნესტორ ჩხატარაშვილს უფრო მსაჯად იცნობს, ბევრმა კი არ იცის, რომ მან სამსაჯო კურსები ჯერ კიდევ 1934-1935 წლებში გაიარა ცნობილი „თბილისელი ჩეხი“ სპეციალისტის ანტუს გონელის ხელმძღვანელობით. ჩხატარაშვილმა ომამდე დაიწყო არბიტრობა: ჯერ საქართველოს პირველობის მატჩებს სჯიდა, მერე — ამიერკავკასიის, ბოლოს კი, 1945 წლიდან — საკავშირო ჩემპიონატის. სხვათა შორის, იგი პირველი ქართველი არბიტრია, რომელმაც საერთაშორისო მატჩი იმსაჯა (ჰელსინკის ოლიმპიადა 1952 წელს).

— ჩვენში მუდამ იყვნენ კარგი არბიტრები, რომელთა მომზადებაზე იმთავითვე ზრუნავდნენ ანტუს გონელი, დავით მდივანი, კონსტანტინ სოლტანი, კონსტანტინ კრავჩენკო. ვახტანგ რამიშვილი, ოტია ჟორდანია, ჯონდო შავდია, ვლადიმერ გვარჯალაძე. ცნობილი მსაჯები გახდნენ კარლო ყრუაშვილი, გიორგი ბაქანიძე, ილია ბოჰორაძე, ანატოლი მილჩენკო, მელუდ მიმინოშვილი, გურამ გვანცელაძე. კარგი მსაჯი იყო თავის დროზე გურამ აკობაშვილიც, მაგრამ იგი ნაადრევად ჩამოსცილდა საქმეს. სამწუხაროდ, დღეს მსაჯთა კვალიფიკაცია და ობიექტურობა ვერ არის აქ ჩამოთვლილ საფეხბურთო „თემიდის მსახურთა“ დონისა. საერთოდ კი, ჩემი აზრით,, მსაჯი, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს ძალზე პატიოსანი პიროვნება, ცხადია, ფეხბურთის საუკეთესო მცოდნე, თუ გნებავთ, იგი დაბადებული უნდა იყოს მსაჯობისთვის. სწორედ ასეთებად მიმაჩნდა ინგლისელი არტურ ელისი და ესტონელი ელმარ საარი.

თხრობა ნესტორ ჩხატარაშვილზე მინდა დავასრულო მის მიერ ნაამბობი ერთი კურიოზული ამბით, რომელიც მას 1953 წელს გადახდა ხარკოვში:

— ადგილობრივი გუნდის მატჩს ვსჯიდი. თამაშზე გამოსულს, როდესაც რადიოთი ჩემი გვარი გამოაცხადეს, ტრიბუნებიდან საშინელი სტვენა მომესმა, მას შეურაცხმყოფელი რეპლიკებიც მოჰყვა — „იზმენიკ, ბერია!“ (სწორედ იმ დღეებში დააპატიმრეს იგი). ძლივს ვიკავებდი თავს. გადავწყვიტე ისე მემსაჯა როგორც არასდროს. ვგრძნობდი, ქართველი კაცის პრესტიჟისათვის უნდა გავრჯილიყავი. თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ის თამაში მართლაც საუკეთესოდ ვიმსაჯე. ყველა კმაყოფილი იყო — ფეხბურთელებიც, მაყურებლებიც, გვერდითი მსაჯებიც... ჩავბერე საფინალო სასტვენს — ტრიბუნიდან ლანძღვა-გინების ნაცვლად ისეთი ტაში გაისმა, გუნდების კაპიტნებმა ყვავილების დიდი თაიგულები მომართვეს. მართლაც ბედნიერი ვიყავი!

დიახ, ნესტორ ჩხატარაშვილი დღეს თითქმის რვა ათეულ წელს მიღწეული კაცი, ქართული ფეხბურთის მართლაც ნესტორ-მემატიანე, მუდამ საქართველოს კეთილი დესპანი იყო სხვათა სტადიონებზე.

ოთარ ნოზაძე

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

„ცხუმი“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 4:2 (2:2).

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 17 აგვისტო.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, სიჭინავა (გოგიაშვილი), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.

„კოლხეთი“: ბერაძე, დოლბაია, ფარფალია (შენგელია), ფედოტოვი, ლატარია, გვასალია (ბურლაშვილი), ბაკურაძე (კაციტაძე), რუხაძე, კალუჟა, პიმუშინი, სამხარაძე.

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი), ა. შილაკაძე, ლ. მგელაძე (ორივე — თბილისი).

გააფრთხილეს: მ. ჯიშკარიანი, გ. ჩიხრაძე.

დუბლიორები: 2:1.

მატჩის წინ სოხუმის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მესამე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი. გუნდების კაპიტნებმა — ფარულავამ და ლატარიამ აღმართეს საქართველოს ეროვნული დროშა.

მაყურებლები ტაშით შეხვდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სოხუმის სააქციონერო საზოგადოება „სავაჭრო სახლი — „კორაქსი“ (თავმჯდომარე დემურ ცხაკაია) გახდა საფეხბურთო კლუბ „ცხუმის“ სპონსორი. ამიერიდან სოხუმელ ფეხბურთელთა მაისურებზე იქნება წარწერა „კორაქსი“ (ლათინურად). სპონსორმა კლუბს თავისი ფირმის რეკლამისათვის გადაურიცხა 100000 მანეთი.

მატჩი დაიწყო სოხუმელთა შეტევებით, მაგრამ სტუმართა ორივე საპასუხო სახიფათო კონტრშეტევა გოლებით დაგვირგვინდა: მე-13 წუთზე ხობელთა დებიუტანტმა ა. ფედოტოვმა (ეს 28 წლის წარმოშობით სამარელი ფეხბურთელი თამაშობდა ზაპოროჟიეს „მეტალურგში“, როსტოვის ასკ-ში, ბოლოს კი სოჭის „ჟემჩუჟინაში“) გახსნა ანგარიში, მე-18 წუთზე კი ი. კალუჟამ კიდევ ერთი გოლი გაიტანა. ასე გავიდა წინ „კოლხეთი“. ამას მოჰყვა „ცხუმის“ მასირებული შეტევები. 23-ე წუთზე გ. ცაავამ შეამცირა სხვაობა ანგარიშში, 37-ე წუთზე ი. გაბესკირიამ შორი მანძილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმი სოხუმელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. 59-ე წუთზე გოგიაშვილმა წინ გაიყვანა „ცხუმი“. 71-ე წუთზე ჯიშკარიანმა მეოთხე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში.

თენგიზ პაპკორია,
„ლელოს“ კორ.

ბოტვინიკის ელექსირი

საჭადრაკო მიმომხილველები ყოველთვის განსაკუთრებით აკვირდებოდნენ მიხეილ ბოტვინიკს — აინტერესებდათ, როგორ. მოხდა, რომ ასეთი უმძაფრესი კონკურენციის პირობებში ამ გამოჩენილმა დიდოსტატმა არა მარტო მოიპოვა უამრავი ჯილდო, არამედ ორჯერ დაიბრუნა დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა! ეს ხომ დღემდე ერთადერთი შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში. ერთხანს ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ მას ტურნირებზე დაჰქონდა თერმოსი და პარტიის მსვლელობის დროს სვამდა რაღაც განსაკუთრებულ „ელექსირს“. როცა ჟურნალისტების თხოვნის შემდეგ ბოტვინიკმა ფარდა ახადა ამ „საიდუმლოებას“, აღმოჩნდა, რომ თერმოსში ესხა... ჩვეულებრივი ყავა! ბოტვინიკმა ისიც აღიარა, რომ ადრე ბოთლით ატარებდა ლიმონათს, რომელიც შემდეგ ყავით შეცვალა. რაც შეეხება ასეთ განსაკუთრებულ მიღწევებს, მათი მიზეზი, ბოტვინიკის დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გარდა, უნდა ვეძებოთ სამაგალითო სპორტულ რეჟიმში.

აი, ბოტვინიკის აზრი საჭადრაკო პრობლემებზე, ცნობილ დიდოსტატებზე, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებზე.

● **რას იტყვით მსოფლიო პირველობის გათამაშების დღევანდელ სისტემაზე?**

— ზოგი წამყვანი დიდოსტატი პრეტენდენტთა მატჩების მომხრეა, ზოგი კი ტურნირების მოწყობას ამჯობინებს. არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: საჭიროა ყველა იმ დიდოსტატის თავმოყრა, რომელთაც პრეტენზია აქვთ მსოფლიო პირველობაზე, რათა გამოიმუშაონ საერთო თვალსაზრისი. 1947 წლამდე საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია არ ერეოდა მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის საქმეში. მსოფლიო ჩემპიონები ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ, თამაშობდნენ ვისთანაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი უსამართლობა იყო.

● **ხომ ვერ დაგვისახელებთ თქვენს მიერ საუკეთესოდ ნათამაშევ პარტიას?**

— ასეთად მიმაჩნია შეხვედრა მსოფლიო ექსჩემპიონ ხოსე რაულ კაპაბლანკასთან, 1938 წელს, ამსტერდამში.

● **რომელმა პარტიამ მოგანიჭათ ყველაზე მეტი სიხარული?**

— ეს იყო მიხეილ ტალთან მატჩ-რევანშის 21-ე პარტია, რის შემდეგაც მსოფლიო ჩემპიონობა დავიბრუნე.

● **თქვენ არაერთხელ შეხვედრიხართ მსოფლიოს ადრინდელ ჩემპიონებს — ემანუელ ლასკერს, ხოსე რაულ კაპაბლანკას, ალექსანდრე ალიოხინს, მაქს ეივეს. რომელი მათგანის თამაშმა დატოვა თქვენზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება?**

— ძნელი სათქმელია, რომელი იყო უძლიერესი მსოფლიოს ადრინდელ ჩემპიონებს შორის. ჩემზე კი, პირად შეხვედრებში ყველაზე უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებდა კაპაბლანკას თამაში. ამასთან, საწყენია ისიც, რომ გენიალური კუბელი დიდოსტატი ცოტა დროს უთმობდა ჭადრაკს.

● **ბევრი საჭადრაკო მიმომხილველი ლაიოშ პორტიშს „უნგრელ ბოტვინიკს“ უწოდებს. ისინი მიიჩნევენ, რომ თქვენი და პორტიშის თამაშის სტილი ერთმანეთს ჰგავს. იზიარებთ თუ არა ამ აზრს?**

— არა, არ ვიზიარებ. მე ყოველთვის ვთამაშობდი ბევრად უფრო ენერგიულად, ვიდრე პორტიში. იგი უფრო სალო ფლორსა ჰგავს. დებიუტის გათამაშებისას პორტიში ძირითადად საკუთარ უსაფრთხოებაზე ფიქრობს. მისი სადებიუტო სისტემები, ჩემი აზრით, არასაკმარისად აქტიურია. მე იმას როდი უარვყოფ, რომ პორტიში სახიფათო მოჭადრაკეა. როცა მეტოქეს შეცდომა მოსდის, პორტიში დაუყოვნებლივ სჯის მას. მაგრამ რთულ, მწვავე პოზიციაში პორტიში არასაკმარისი ენერგიით მოქმედებს, განსაკუთრებით, როდესაც ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ იბრძვის...

ასეთია მიხეილ ბოტვინიკი, პირდაპირი, თავდაჭერილი, ობიექტური მოაზროვნე, რომლისთვისაც არც რომანტიკული გატაცებებია უცხო. „ჩვენ ყველანი თამაშს ბოტვინიკისაგან ვსწავლობდით“ — თქვა ლეონიდ შტეინმა. თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვიც ხომ მოწაფეები არიან ბოტვინიკისა, რომელსაც 17 აგვისტოს, 80 წელი შეუსრულდა.

გივი გამრეკელი

* * *

ცვლილებები გათამაშებაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უმაღლესი ჯგუფის კლუბებისათვის სათადარიგო გუნდების პირველობის ჩატარებასთან დაკავშირებით გაითვალისწინა კლუბების ხელმძღვანელთა მოთხოვნა და მესამე ეროვნულ ჩემპიონატში ნება დართო ძირითად შემადგენლობაში 20 ფეხბურთელის ნაცვლად ათამაშოს 25, რომელთაგან 5 მოთამაშე 1973 წელსა და მომდევნო წლებში უნდა იყვნენ დაბადებულნი.

ფედერაციის სხდომაზე დამტკიცდა, რომ 1992-93 წლების საქართველოს მეოთხე ჩემპიონატი ჩატარდეს ოთხ — უმაღლესი, პირველი, მეორე და მესამე ჯგუფად.

ამასთან დაკავშირებით, 1991-92 წლების საქართველოს ჩემპიონატში მესამე ჯგუფში ბოლო ადგილზე გასული გუნდი, აგრეთვე მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეჯგუფებში ბოლო ხუთ ადგილზე გასული გუნდები ითამაშებენ შესარჩევ გათამაშებებში, ხოლო ამ ტურნირში გამარჯვებული თითო გუნდი იასპარეზებს მესამე ქვეჯგუფში.

მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ ქვეჯგუფებში შესაბამისად პირველ მეშვიდე და პირველ მერვე ადგილებზე გასული გუნდები მეოთხე ჩემპიონატში გამოვლენ მესამე ჯგუფში.

* * *

I ჯგუფი

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს მესამე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

„ივერია“ (ხაშური) — „მევარდენი“ (ზუგდიდი) 2:0, „კახეთი“ (თელავი) — „გურია-2“ (ლანჩხუთი) 4:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „მერანი“ (თბილისი) 1:0, „მუქურა“ (ქობულეთი) — „არმაზი-90“ (თბილისი) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:3, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 0:0; „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ფიზკინსტ (თბილისი) 1:0, „ეგრისი“ (სენაკი) — „არამაზი“ (მცხეთა) 1:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 2:0, „იმერეთი“ (ხონი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:1.

* * *

იტალიელებმა ბომბარდირი დაარქვეს

იტალიის პირველი ლიგის საფეხბურთო კლუბ „ჯენოაში“ ერთი წელია თამაშობს ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების თავდამსხმელი ტომაშ სკუჰრავი, რომელმაც მარშან დიდი ყურადღება მიიპყრო მსოფლიო ჩემპიონატში. აი, მისი პასუხები ჩეხეთ-სლოვაკეთიდან მოსულ მრავალრიცხოვან შეკითხვებზე:

● **პრაღის „სპარტაში“ დარჩებოდით, თქვენთვის რომ გასამრჯელო დოლარებით გადაეხადათ?**

— არა, მე მსურდა სხვა პირობებში მეთამაშა რომელიმე დიდ კლუბში, ამით იმის თქმა არ მინდა, რომ „სპარტას“ აღარ დავუბრუნდები.

● **რა მოგცათ მწვრთნელ ვაცლავ იეჟეკთან მუშაობამ?**

— პრაქტიკულად ყველაფერი მან მასწავლა, თუმცა ჩემთან სხვა მწვრთნელებმაც იმუშავეს.

● **რა განსხვავებაა „სპარტასა“ (პრაღა) და „ჯენოაში“ თამაშს შორის?**

— „ჯენოაში“ ყველა პირობა გაქვს შექმნილი, რომ ფეხბურთზე და მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრო. იტალიურ კლუბში მოთამაშეების სრულ კონცენტრაციას აღწევენ.

● **რას იტყვით „სპარტას“ მიერ მიწვეულ ორ ოცხოელ ფეხბურთელზე, ამერიკელ ტრიტშუსა და ზამბიელ მვიტვაზე?**

— შეიძლება მათი ნახვით გულშემატკივრები კიდევაც დაინტერესდნენ, მაგრამ გუნდის პრაქტიკულად გაძლიერებისათვის სხვა ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

● **დიდია გენუაში კონკურენცია ადგილობრივ კლუბებს — „სამპდორიასა“ და „ჯენოას“ შორის?**

— ეს მატჩები ყოველთვის უაღრესად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობს.

● **რამდენი მაყურებელი მოდის თქვენი გუნდის მატჩებზე?**

— სტადიონი 40 ათასს იტევს და იგი მუდამ სავსეა.

● **როგორ ფიქრობთ, თქვენ უნდა შეეწყოთ გუნდის თამაშს, თუ გუნდი უნდა შეგეწყოთ თქვენ?**

— ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ გუნდი უნდა შემეწყოს.

● **ხომ არ გაწუხებთ ის, რომ თქვენთან ერთად „ჯენოაში“ კიდევ ერთი ჩვენი რომელიმე ფეხბურთელი არ თამაშობს. თქვენი ნება რომ იყოს, რომელ ფეხბურთელს აირჩევდით?**

— ჩემი ნება რომ იყოს, ხოვანეცს ავირჩევდი.

● **რა განსხვავებაა ჩეხეთ-სლოვაკეთის გუნდების ვარჯიშსა და იტალიური გუნდების ვარჯიშს შორის?**

— იტალიაში ვარჯიში ხანმოკლეა, მაგრამ გაცილებით უფრო ინტენსიური. ის თითქმის მთლიანად ბურთთან ვარჯიშისგან შედგება.

● **ზოგი ფიქრობს, რომ თქვენთვის ყველაზე უფრო შესაფერისი ინგლისურ ლიგაში თამაში იქნებოდა.**

— „ლივერპული“ მეპატიჟებოდა, კონკრეტული წინადადება მქონდა ბუნდესლიგიდანაც, უფრო ზუსტად მიუნხენის „ბაიერნიდან“, მაგრამ მე ყველაზე მეტად იტალია მიზიდავდა. იმასაც ვფიქრობდი — ჯობს არც ისე დიდი სახელის მქონე კლუბში გადავიდე-მეთქი და სისტემატურად ვითამაშო, ვიდრე სუპერკლუბში ჩავირიცხო და სათადარიგოთა რიგებში აღმოვჩნდე.

● **მსოფლიო პირველობაზე ყველაზე მეტად რომელი ნაკრების მცველების წინააღმდეგ გიჭირდათ თამაში?**

— იტალიის ნაკრების მცველების წინააღმდეგ.

● **რას წერს თქვენზე იტალიური პრესა?**

— დაახლოებით ასე: „კარგად დაიწყო. ვნახოთ, რამდენ ხანს გაძლებს“.

● **ამბობენ, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. როგორაა გაქვთ ამ მხრივ საქმე, ტომაშ?**

— სამწუხარო ამბავია... ჩემს თაობას სკოლაში ენებს ვინ ასწავლიდა. ახლა ძალიან ვცდილობ დავეუფლო იტალიურს.

● **ვაცლავ დანეკს „ფკ ტიროლში“ ბევრი გოლი გააქვს. ხომ არ გაგიწევთ კონკურენციას ეროვნულ ნაკრებში?**

— მე მიხარია, რომ დანეკი წარმატებებს აღწევს. არც სხვა სნაიპერებისა მშურს. ისე კი, მწვრთნელების საქმეა, ნაკრებში ვის ენდობიან.

— თქვენზე წერდნენ, როცა „სპარტაში“ თამაშობდით თამბაქოს ეწეოდით?

— იტალიაში გაცილებით ნაკლებს ვეწევი, ასე, დღეში საშუალოდ 7 სიგარეტს.

● **თილისმა გაქვთ?**

— მე ცრუმორწმუნე არა ვარ და არავითარი თილისმა არა მაქვს.

● **გინდათ თუ არა, რომ თქვენმა ქალიშვილმა ფეხბურთი ითამაშოს?**

— სიმართლე გითხრათ, არავითარი სურვილი არა მაქვს.

● **გაქვთ თუ არა იტალიაში რაიმე მეტსახელი?**

— იტალიელი გულშემატკივრები „ბომბარდირს“ მეძახიან.

მოამზადა გივი თორელმა.

* * *

ფიფას-ს პრეზიდენტის ინტერვიუ

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობს 1976 წლის 11 ივნისიდან. ჟ. აველანჟი ბელგიელი ინჟინრის ოჯახში დაიბადა 1915 წლის 8 მაისს, რიო-დე-ჟანეიროში. მისი სრული სახელია ჟან-მარი ფაუსტინ გოდეფრედ დიუ აველანჟი.

საკდესის კორესპონდენტი ამას წინათ ესაუბრა ჟოაო აველანჟს. პრეზიდენტმა მრავალი საყურადღებო რამ თქვა ფეხბურთზე:

— 18 წლისა უმამოდ დავრჩი, ადრე მომიხდა შრომითი საქმიანობის დაწყება, ვსწავლობდი, მოვიხადე სამხედრო სამსახური, ამავე დროს ვვარჯიშობდი სპორტში, კერძოდ, ვცურავდი და ვთამაშობდი წყალბურთს. იმთავითვე გამოვიმუშავე ჩვევა და დღე-ღამეში სულ 5 საათი მძინავს, იშვიათ შემთხვევაში კიდევ ერთ საათს თუ წავუმატებ-ხოლმე ამ მკაცრ რეჟიმს. არ ვეწევი, არ ვსვამ, აზარტულ თამაშებს არ ვეტანები. ვდგები დილის 5 საათზე, დავრბივარ 5 კილომეტრს, შემდეგ დილის ტანვარჯიში, ნახევარი საათი — აუზში, სპორტული მასაჟი. ასეთი სპარტასპორტული რეჟიმი ჯერჯერობით კეთილნაყოფიერად მოქმედებს ჩემს ჯანმრთელობაზე. ბევრს ვმოგზაურობ, წელიწადში 280-300 დღე ბრაზილიის ფარგლებს გარეთ ვარ, რეგულარულად მიწევს მონაწილეობა კონფერენციებზე, თათბირებზე, ფედერაციის სხდომებზე. წელიწადში 800 საათი თვითმფრინავში ვიმყოფები.

როგორც ყველა ჭეშმარიტი ბრაზილიელი, ბავშვობიდანვე ვთამაშობდი ფეხბურთს, ვიყავი იუნიორთა შორის რიო-დე-ჟანეიროს ჩემპიონი, ცურვაში გახლდით ბრაზილიის, სამხრეთ ამერიკის და პანამერიკული თამაშების ჩემპიონი, მონაწილეობა მივიღე 1936 წლის ბერლინისა და 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადებში.

ხშირად მეკითხებიან, თუ ბოლო ხანებში რატომ მოიკლო ბრაზილიის ნაკრების წარმატებებმა, რატომ ჩაქრა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა თამაში. ეს დაკავშირებულია ბრაზილიის ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან, მძიმე ჩავარდნა სხვა დარგებთან ერთად ფეხბურთსაც შეეხო. სპორტული კლუბები გაღარიბდნენ, ვერ უზრუნველყოფენ მოთამაშეთა მზადების მაღალ დონეს. უამრავი ნიჭიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი ტოვებს სამშობლოს და უცხოეთში მიემგზავრება სათამაშოდ.

დღესდღეობით ფეხბურთი მსოფლიოში ფართოდ ვრცელდება. საამისოდ მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების მონაწილეთა რიცხვი 16-დან გავზარდეთ 24 გუნდამდე, დავაკონკრეტეთ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ფეხბურთელთა ასაკი, რეგულარულად ვაწყობთ სხვადასხვა ასაკის ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატებს, საფუძველი ჩავუყარეთ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატს, აგრეთვე, მსოფლიო პირველობას მინიფეხბურთში.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ბოლო წლებში გაიზარდა, მომძლავრდა, ფინანსურად განმტკიცდა. დიდ შემოსავალს გვაძლევს მჭიდრო ურთიერთობანი მსხვილ ფინანსურ კორპორაციებთან. თუ უწინ ფიფა-ს ძირითადი შემოსავალი მასში შემავალი ეროვნული ფედერაციების საწევრო ანარიცხები იყო, ახლა უშუალო ურთიერთობანი გვაქვს მდიდარ კომპანიებთან. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშზე შვეიცარიის ბანკებში ამჟამად ნახევარ მილიარდამდე შვეიცარიული ფრანკია.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობა განზრახული გვაქვს აზიის კონტინენტზე.

ფეხბურთის ამბები

● **კოლუმბიის** ფეხბურთელთა ნაკრების ცნობილმა მეკარემ რენე იგიტამ კონტრაქტს მოაწერა ხელი ესპანეთის კლუბ „ვალიადოლიდთან“. კონტრაქტის ვადაა 3 წელი. რ. იგიტა ტელემაყურებლებს დაამახსოვრდათ იმით, რომ იტალიის განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში იგი თამაშის დროს ხშირად ტოვებდა კარს და შუა მინდვრამდე გამოდიოდა. „ვალიადოლიდში“ რ. იგიტას გარდა, გამოდის კიდევ ორი კოლუმბიელი ფეხბურთელი — ვალდერამა და ალვარესი.

● **ამ დღეებში** 64 წლისა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ავსტრიელი მეკარე ვალტერ ზემანი, რომელმაც 41-ჯერ დაიცვა ავსტრიის ეროვნული ნაკრების კარი.

ფინიში ახლოსაა

ბრიუსელი. გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები. უფრო სწორად, მონაწილეებმა უკვე გადალახეს ეკვატორი და ახლა ფინიშისაკენ მიემართებიან.

ალბათ, მოულოდნელი იყო, რომ მსოფლიო ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა პირველ წარმატებას ინდოელ ვიშვანატან ანანდთან მხოლოდ მეოთხე ტურში მიაღწია. სხვათა შორის, მატჩის დაწყებამდე სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ კარპოვს გაუჭირდებოდა ამ ორთაბრძოლის მოგება, ვინაიდან სხვა პრეტენდენტებს შორის ანანდი, ყველაზე უხერხული მეტოქეა მისთვის.

ანანდი ნიჭიერი მოჭადრაკეა, მაგრამ, სხვებზე უფრო ძლიერი, რა თქმა უნდა, არ არის. თუმცა, ინდოელს აქვს ერთი „კოზირი“, რომელიც ნებისმიერ მეტოქეს უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. იგი თამაშობს სწრაფად და პარტნიორს ქვეცნობიერად აიძულებს, ასევე სწრაფი თამაშით უპასუხოს. მეოთხე პარტიაშიც ანანდი ჩვეული ტემპით თამაშობდა, მაგრამ კარპოვი არ აჰყვა მას და როგორც იქნა, მიზანს მიაღწია.

სამაგიეროდ, მეხუთე და მეექვსე ტურის პარტიებში, რომლებიც არ დამთავრებულა, ინდოელი დიდოსტატი ინარჩუნებს უპირატესობას და მოგების დიდ შანსს. მეხუთე ტურში მას ზედმეტი პაიკი აქვს, მეექვსეში — ინიციატივა და აქტიური თამაში.

კორჩნოი — ტიმანის ბოლო სამი პარტია ყაიმით დამთავრდა.

მდგომარეობა ექვსი ტურის შემდეგ ასეთია:

კარპოვი — ანანდი 2,5:1,5 (2)
ტიმანი — კორჩნოი 4:2
შორტი — გელფანდი 3,5:2,5
ივანჩუკი — იუსუპოვი 3,5:2,5

* * *

კუბა, აშშ, კანადა

ჰავანა. კვირას, კუბის დედაქალაქში საზეიმოდ დაიხურა XI პანამერიკული თამაშები. საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალური განცხადებით, გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრების მასპინძლებმა მოიპოვეს (140 ოქროს, 62 ვერცხლისა და 63 ბრინჯაოს მედალი). ჯილდოების რაოდენობით, მეორე ადგილზეა აშშ-ს სპორტული დელეგაცია (352 მედალი, მათ შორის 130 — ოქროსი), მესამეზე — კანადა (127 მედალი, 22 — ოქრო).

* * *

„სპორტლოტო“

გაიმართა „სპორტლოტოს“ 1991 წლის 33-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“: 17 (საციგურაო სპორტი), 20 (აფროსნობა), 24 (ხელბურთი), 38 (ალპინიზმი), 39 (ბადმინტონი), 44 (ჭადრაკი)

„სპორტლოტო 5 36“: 1 (კალათბურთი), 23 (თხილამურებით ხტომა [illegible]), 30 (ძალოსნობა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი).

ფორმულა-1

სენა იმტკიცებს პოზიციას

ბუდაპეშტთან ახლოს, პატარა ქალაქ სპუტნიკის ტერიტორიაზე, აშენდა სარბოლო ტრასა, რომელიც უკვე მეექვსე წელია, სპეციალისტთა დიდ მოწონებას იმსახურებს.

მსოფლიოს არც ერთ ავტოდრომზე არ ზრუნავენ რბოლების უსაფრთხოებისთვის ისე, როგორც „ჰუნგარორინგზე“. აქ თითქმის არ იქმნება მძიმე საავარიო სიტუაციები. სწორედ ამიტომ, შეჯიბრების უნგრელ ორგანიზატორებს კიდევ შვიდი წლის მანძილზე „მოუწევთ“ ასპარეზობის მასპინძლობა.

„ჰუნგარორინგს“ მხოლოდ ერთი ნაკლი აქვს — იგი „ნელი“ ტრასების რიცხვს მიეკუთვნება. მიუხედავად ამისა, აქ გამართული შეჯიბრებები ყოველთვის დაძაბულია და სანახაობრივად საინტერესო.

მოდით გავიხსენოთ, თუ ვინ გაიმარჯვა წინა ხუთ გათამაშებაში: ნელსონ პიკე (ბრაზილია, „უილიამს-ჰონდა“) — 1986, 1987 წ.წ; აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 1988 წ; ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ფერარი“) — 1989 წ; ტიერი ბუტსანი (ბელგია, „უილიამს-რენო“) — 1990 წ.

როცა წლევანდელი სეზონის მეორე ჰეთ-თრიკის „ავტორს“ „უილიამს-რენოს“ ლიდერს ნაიჯელ მენსელს ჰკითხეს აირტონ სენასთან მოსალოდნელი კონტრაქტის შესახებ, რომლის თანახმადაც „რენო“ და „ელფი“ ბრაზილიელ პილოტს სთავაზობენ 23 მილიონ გირვანქა სტერლინგს (36,9 მილიონ დოლარს), ინგლისელმა ავტომრბოლმა ხუმრობით უპასუხა: „თუ აირტონი დათანხმდება, მილოცვას ყველას მე დავასწრებ“.

„ტაირელ-ჰონდას“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 38 წლის სატორუ ნაკაჰიმა სტოვებს „ფორმულა-1“-ს სეზონის ბოლოს. მოსალოდნელია, რომ მას შეცვლის მისი თანამემამულე და მეგობარი აგური სუძუკი, ან სპორტული ავტომობილებით მოსაპარეზე, „საუბერ-მერსედესის“ პილოტი, გერმანელი მიხაელ შუმახერი.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ „ფუტუერკს“ დაუბრუნდა ალექს კაფი, სტეფან იოჰანსონი კი, რომელიც იტალიელ ავტომრბოლს ცვლიდა, განაგრძობს „მაკლარენისთვის“ ავტომობილების ტესტირებას. მიქელე ალბორეტო და ალექს კაფი კვლავ „პორშეს“ ძრავით აღჭურვილი ავტომობილებით იასპარეზებენ.

„სკუდერია იტალიის“, ანუ „დალარას“ მენეჯერმა თხოვნით მიმართა „ფერარის“ ხელმძღვანელობას, რათა მომავალი წლისთვის ეს გუნდიც მოამარაგონ საკუთარი კონსტრუქციის ძრავებით.

გერმანიის „გრან პრის“ გათამაშების შემდეგ აირტონ სენაზე განაწყენებულმა ალენ პროსტმა განაცხადა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელი შეუშალოს ბრაზილიელ მეტოქეს და დაეხმაროს ნაიჯელ მენსელს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში.

უნგრეთის ეტაპის წინ თავისი შედეგით უკმაყოფილო სენამ, რომლისთვისაც პირველობის შენარჩუნება სულ უფრო ძნელი ხდება, განაცხადა, რომ გულშემატკივარი „მონცაზე“ იხილავს მსოფლიოს ახალ ჩემპიონს.

„ლოტუსის“ ხელმძღვანელობამ მოულოდნელად ჯონი ჰერბერტი შეცვალა 23 წლის გერმანელი მიხაელ ბარტელსით. პროტოტიპების კლასში მოასპარეზე „საუბერ-მერსედესის“ ტექნიკური დირექტორის იოჰენ ნეერპაშის თხოვნით, „ლოტუსის“ მენეჯერს დაევალა ახალგაზრდა პილოტების, მათ შორის ავსტრიელი კარლ ვენდლინგერის, გერმანელების: ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენის, ფრიც კრეუცპონტერის გამოცდა, რათა გერმანულმა ფირმამ ამოარჩიოს საუკეთესო წყვილი სამომავლოდ.



ახლა დავუბრუნდეთ ასპარეზობას „ჰუნგარორინგზე“, სადაც საკვალიფიკაციო რბოლები კვლავ საუკეთესოდ ჩაატარა აირტონ სენამ. მან 58-ე საწვრთნელი რბოლა მოიგო: ერთი წრე 1 წუთსა და 16,147 წამში, საათში 187,60 კილომეტრი საშუალო სიჩქარით დაფარა. ეს იყო „მაკლარენის“ 73-ე საკვალიფიკაციო რბოლა. აირტონ სენა ასპარეზობდა („მაკლარენის“ ახალი მოდელით, რომელსაც სიჩქარეების გადაცემათა ავტომატური კოლოფი აქვს.

სასტარტო ბილიკზე ბრაზილიელი პილოტის შემდეგ ადგილები დაიკავეს რიკარდო პატრეზემ, ნაიჯელ მენსელმა, ალენ პროსტმა, გერჰარდ ბერგერმა და ჟან ალეზიმ.

სტარტი ერთდროულად აიღეს სენამ და პატრეზემ. იტალიელი ვეტერანი ცდილობდა დაწინაურებას, მაგრამ ბრაზილიელმა ავტომრბოლმა სიჩქარეს უმატა და პირველი მოსახვევის გავლის შემდეგ ლიდერის პოზიცია დაიკავა.

ამ ორთაბრძოლის შემხედვარე დანარჩენმა პილოტებმა არც კი სცადეს ერთმანეთისთვის გაესწროთ და მიჰყვნენ ლიდერებს.

ასეთი თანმიმდევრობით გაიარეს ავტომრბოლებმა 27 წრე, რის შემდეგაც ალენ პროსტმა წამოიწყო შეტევა, რაც იმით დასრულდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის „ფერარი“ ტრასიდან გადავიდა და გაზონზე გაჩერდა. შემდეგ ნაიჯელ მენსელმა შეუტია ლიდერებს, გაუსწრო თანაგუნდელს და მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

ახლა გერჰარდ ბერგერსა და ჟან ალეზის შორის გაჩაღდა პაექრობა, მაგრამ ფრანგმა ავტომრბოლმა ვერაფერი გააწყო თავისი ავსტრიელი მეტოქის წინააღმდეგ.

ამასობაში კი აუტსაიდერთა რიგებს გამოეყო და მეექვსე ადგილი დაიკავა ავტომრბოლმა, რომელიც შარშან „ფერარის“ გუნდში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატი იყო — ივან კაპელიმ.

ასე დაასრულეს მათ 77 წრე.

ბრაზილიელმა აირტონ სენამ მოიგო 31-ე „გრან პრი“, მე-5 წლევანდელ სეზონში და მეორე უნგრეთში (1988, 1991 წ.წ.). ეს იყო „მაკლარეხის“ 91-ე გამარჯვება და „ჰონდას“ — 63-ე. აირტონ სენამ 25-ე „გრან პრი“ მოიგო „მაკლარენის“ ავტომობილით.

მართალია, „ჯორდან-ფორდის“ პილოტებმა ამჯერად ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს, მაგრამ ბელგიელმა ბერტრან გაშომ მოახერხა ტრასის პირველი რეკორდის დამყარება.

რბოლის საბოლოო შედეგი: 1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 10 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი) — 6; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია) — 4 (ორივე — „უილიამს-რენო“); 4. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა“) — 3; 5. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 2; 6. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონ ჰაუს-ილმორი“) — 1 ქულა.

პირადი ჩათვლა (10 ეტაპის შემდეგ): 1. აირტონ სენა — 61 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი — 49; 3. რიკარდო პატრეზე — 32; 4. გერჰარდ ბერგერი — 22; 5. ალენ პროსტი — 21; 6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) —18; 7. ჟან ალეზი — 14; 8-9. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტაირელ-ჰონდა“), ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდან-ფორდი“) — 9-9 ქულა; 10. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი“) —5; 11-12 ირკი იარვილეჰტო (ფინეთი, „დალარა-ჯადი“), ბერტრან გაშო — 4-4 ქულა; 13. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფერარი“) — 3; 14-15. სატორუ ნაკაჰიმა, მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუს-ჯადი“) — 2-2 ქულა; 16-20. ერიკ ბერნარი (საფრანგეთი), აგური სუძუკი (იაპონია) — ორივე — „ლოლა-ფორდი“, ჯულიან ბეილი (ინგლისი, „ლოტუს-ჯადი“), ემანუელე პირო (იტალია, „დალარა-ჯადი“), ივან კაპელი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა (10 ეტაპის შემდეგ); 1. „მაკლარენი“ — 83; 2. „უილიამსი“ — 81; 3. „ფერარი“ — 35; 4. „ბენეტონი“ — 23; 5. „ჯორდანი“ — 13; 6. „ტაირელი“ — 11; 7. „დალარა“ — 5; 8-9. „ლოტუსი“, „მინარდი“ — 3-3 ქულა; 10. „ლოლა“ —2; 11. „ლეიტონ-ჰაუსი“ — 1 ქულა.

უნგრეთის ეტაპის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, კიდევ ერთხელ შერიგდნენ საჯაროდ „დაუძინებელი მტრები“ — აირტონ სენა და ალენ პროსტი.

მსოფლიო ჩემპიონატის მე-11 ეტაპი „ფორმულა-1“ კლასის ავტომობილებით რბოლაში გაიმართება ბელგიაში, „სპაფრანკოშამპის“ ავტოდრომზე, 25 აგვისტოს.

დავით ჩუბინიძე

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისის „შევარდენის“ სტადიონი

(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40).

21 აგვისტო
ფეხბურთი
საქართველოს ჩემპიონატი
(უმაღლესი ჯგუფი)

„შევარდენი-1906“ (თბილისი) — **„ცხუმი“** (სოხუმი)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

ინფორმაცია

● **ნიუ-ჰეივენი.** ამერიკის ამ ქალაქში გამართული ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი — 1 მილიონი დოლარი) მოიგო ჩეხოსლოვაკიელმა პეტრ კორდამ, რომელმაც ფინალში საკმაოდ ძლიერი იუგოსლაველი გორან ივანიშევიჩი დაამარცხა. 23 წლის კორდამ, რომელსაც მსოფლიო კლასიფიკაციაში მხოლოდ 25-ე ადგილი უკავია, პირველად გაიმარჯვა ესოდენ საპასუხისმგებლო ტურნირში.

● **ინდიანაპოლისი** (აშშ). დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარი იყო. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს პირველი და მერვე ჩოგნები — გერმანელი ბორის ბეკერი და ამერიკელი პიტ სამპრასი. გამარჯვება ანგარიშით 2:1 (7:6, 3:6, 6:3) წილად ხვდა სამპრასს.

„მერანი“ № 12

10 აგვისტოს ბრიუსელში დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა მეოთხედფინალური მატჩები, სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეხება გივი გამრეკელის ორი წერილი, რომელსაც საჭადრაკო გაზეთ „მერანის“ ახალ, მე-12 ნომრის I-III გვერდებზე გთავაზობთ.

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი გვესაუბრება ვარშავაში დამთავრებულ 10, 12 და 14 წლამდე ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატების პერიპეტიებზე.

გაზეთში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვასილ ვაშაკიძის ინტერვიუს საერთაშორისო დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილთან, რომელმაც წარმატებით იასპარეზა ამერიკაში ჩატარებულ საჭადრაკო ფესტივალზე.

ქართულ ჭადრაკს ერთგული, თავდადებული ქომაგი გამოაკლდა — ბატონი ტარიელ ლემონჯავა. „მერანის“ მე-7 გვერდზე გთავაზობთ გამოსათხოვარ წერილს. აქვე მკითხველი ინტერესით გაეცნობა მის მიერ ნათამაშევ ორ საინტერესო პარტიას.

„მერანის“ ბოლო გვერდი დათმობილი აქვს ირანის ქალაქ მარტყოფიდან მიღებულ წერილს, რომელსაც ხელს აწერს ფერეიდნელი ქართველი მოჭადრაკე, ირანის ჭადრაკის ფედერაციის ქალაქ მარტყოფის განყოფილების გამგე ნიკოლოზ ბათუნაშვილი.

მკითხველი „მერანის“ ამ ნომერში გაეცნობა კიდევ მრავალ საინტერესო ინფორმაციას.

შეგახსენებთ, რომ „მერანი“ ფინანსურად დამოუკიდებელი გახდა. „ლელოსთან“ არსებულ ამ საჭადრაკო გაზეთს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე სპონსორი.

„მერანის“ ანგარიშია: თბილისი, საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი — № 100609529.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ქ. ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ ჯგუფებში:

1. ფეხბურთი
2. კრივი
3. ჭიდაობა — „ბერძნულ-რომაული“
4. მძლეოსნობა
5. ცურვა
6. ველოსპორტი

ჯგუფების დაკომპლექტება მოხდება VII, VIII, IX, X კლასის მოსწავლეებით. შემომსვლელებმა უნდა წარმოადგინონ პირადი საქმე სკოლიდან, ჯანმრთელობის ცნობა, ექვსი ფოტოსურათი 3X4 და განცხადება დირექტორის სახელზე.

შენიშვნა: განმცხადებელს უნდა ჰქონდეს არჩეული სახეობისადმი სიყვარული და ამ სახეობაში სათანადო მონაცემები. სასწავლებელში კვება და სხვა მომსახურეობა სახელმწიფო ხარჯზეა.

ჩარიცხვა მოხდება სათანადო გასაუბრებისა და ნორმატივების ჩაბარების შემდეგ 25 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სასწავლებლის დირექციას ყოველდღიურად კვირის გარდა, 10-დან 18 საათამდე. ან დარეკეთ ტელეფონით 30-16

მისამართი: ქ. ხობი, რუსთაველის სანაპირო № 1. საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს ქ. ხობის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის დირექცია.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია, კორექტორი მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის [illegible]096
თბილისი, მ. კო[illegible] 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55
სამდივნო — 98-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54
„მერანი“ — 98-97-26, „მორთვე“ — 99-97-27

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხების გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20.